



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კორცხელის მღვიმე

კორცხელის მღვიმე, კარსტული მღვიმე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. კორცხელის ტერიტორიაზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, ზ. დ. 150 მ. გამომუშავებულია ნეოგენურ ქვიშაქვებში. კ. მ. პორიზონტალურფსკერიანი დერეფნული ტიპის გამჭოლი მღვიმეა. მისი საშ. სიმაღლეა 3 მ, ჯამური სიგრძე – 790 მ, ფსკერის ფართობი – 3160 მ², საერთო მოცულობა – 6320 მ³. ჰაერის ტემპერატურა მერყეობს (13,0–16,0) °C ფარგლებში. მღვიმეში გაედინება მცირე მერყევდებიტიანი ნაკადი. კ. მ. პირველად გამოიკვლიეს გ. დევდარიანმა და ლ. მარუაშვილმა. კომპლექსურად შეისწავლა ბ. გერგედავამ.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ბ., ნ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.
